

თემა #6: გლობალური უცხოური სავალუტო ბაზრები

6.1.საერთაშორისო სავალუტო სისტემა. კონვერტირებადი, არაკონვერტირებადი და თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა

საერთაშორისო ბიზნესი, ქვეყნის შიგა საქმიანი ოპერაციისაგან განსხვავებით, იყენებს ერთზე მეტ ვალუტას, რაც საერთაშორისო ბიზნესის კიდევ ერთი სირთულეა. საერთაშორისო კომპანიას ფული უნდა ჰქონდეს თავისი ქვეყნის ვალუტაში და იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანიას გახსნილი აქვს ფილიალი.

ჩვეულებრივი საგარეო სავაჭრო ოპერაციის განხორციელებისას საერთაშორისო კომპანიებს უპირატესად საქმე აქვთ ვალუტასთან ან ვალუტებთან, რომელიც განსხვავდება თავიანთი მშობლიური ქვეყნის ეროვნული ვალუტისაგან. საერთაშორისო ვაჭრობისა და ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია დაბალი ტრანსაქციური დანახარჯებით სხვადასხვა ვალუტების გაცვლისა და შეფასების რაღაც სისტემის არსებობა. ამ ამოცანას ასრულებს საერთაშორისო სავალუტო სისტემა, რომელიც ადგენს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების შეფასებისა და გაცვლის წესს. **საერთაშორისო სავალუტო სისტემა ემსახურება** როგორც საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სამუშაო ძალის მიგრაციას, ისე სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლას. **სწორედ ამიტომ, საერთაშორისო არენაზე მოღვაწე საერთაშორისო მეწარმეები და მენეჯერები კარგად უნდა ერკვეოდნენ საერთაშორისო სავალუტო მექანიზმში.**

ცნობილია, რომ მსოფლიოში უმეტეს სუვერენულ სახელმწიფოს საკუთარი ეროვნული ფული, ვალუტა აქვს, რომელიც გამოიყენება საქონლის ღირებულების (ფასის) სიდიდის გასაზომად. **ეროვნული ვალუტა არის** სუვერენული სახელმწიფოს ფულადი სისტემის საფუძველი, რომლითაც ხორციელდება საშინაო და საგარეო ანგარიშსწორება. **ეროვნული ვალუტის** სააღრიცხვო და საანგარიშსწორებო საშუალებად გამოყენება კანონმდებლობით სავალდებულოა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გამოირიცხოს უცხოური ფულადი ერთეულების გამოყენება მოცემულ ქვეყანაში. ამისათვის კი ეროვნული ფული უნდა იყოს მყარი და სტაბილური, რაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. შევნიშნავთ, რომ ეროვნული ფული სახელმწიფოს სუვერენულობის ისეთივე ატრიბუტია, როგორც დროშა, ჰიმნი და ღერბი. **სწორედ ამიტომ, სახელმწიფო ეროვნული ფულის სიმყარეს ისევე უნდა იცავდეს, როგორც მესაზღვრეები ქვეყნის**

საზღვრებს. ყოველი ქვეყნის ვალუტა გამოსახულია შესაბამისი 3-ასოიანი (ლათინური შრიფტით) აბრევიატურით. მაგალითად, აშშ-ის დოლარი-USD, ევროკავშირის ევრო ევროზონაში - EUR, საქართველოს ლარი - GEL და სხვა.

ეროვნულსაგან განსხვავებით **სარეზერვო ვალუტა** მსოფლიო ფულის როლის შემსრულებელი ვალუტაა (მაგალითად, აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი). **სარეზერვო ვალუტა** წარმოადგენს მსოფლიოში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას. იგი გამოიყენება სხვა დანარჩენი სახელმწიფოების ვალუტების მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტისა და სავალუტო კურსის განსაზღვრის საფუძვლად და საერთაშორისო მასშტაბით ასრულებს საგადასახდელო და სარეზერვო საშუალების ფუნქციას. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ვალუტას საერთაშორისო ვალუტის “უფლებამოსილება” მიენიჭოს აუცილებელია ამ ქვეყანას წამყვანი ადგილი ეკავოს: **1) მსოფლიოს საქონლურ წარმოებაში** (მაგალითად, აშშ-ის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებს შეადგენს, მაგრამ აწარმოებს მსოფლიო პროდუქციის 25%-ს); **2) მსოფლიოს ოქროს მონეტარულ რესურსებში** (აშშ-ი დაახლოებით 9 000 ტონა ოქროს მონეტარული რესურსებია); **3) საბანკო და საფინანსო-საბირჟო ქსელში.** საერთაშორისო სავალუტო ბაზრების ბრუნვის დაახლოებით 60% დოლარშია განხორციელებული. ამჟამად მსოფლიოს ცენტრალურ ბანკებში რეზერვების სახით 30 000 ტონა ოქრო ინახება. ე.ი. აშშ-ი მსოფლიოს ოქროს მარაგების დაახლოებით 29%-ია.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის ნახევარი დოლარებში ხორციელდება; მთელი მსოფლიო სავალუტო მარაგის 60-65% დოლარშია დენომირირებული და საერთაშორისო კერძო კრედიტების 70%, ასევე, დოლარებშია გაცემული, მაშინ ძნელი არ არის იმის მიხვედრა თუ რატომ არიან ქვეყნები ესოდენ დაინტერესებულნი დოლარის, როგორც მსოფლიო ფულის სტაბილურობით.

ხაზგასასმელია, რომ ამჟამად დოლარი მსოფლიოს 27 სახელმწიფოს (ავსტრალია, კანადა, სინგაპური, ახალი ზელანდია, ზიმბაბვე და ა.შ.) ვალუტას ჰქვია. თუმცა, საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა, აშშ დოლარი აინტერესებს, რომელიც შემოდებული იქნა 1786 წელს. ერთდოლარიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა წელიწადნახევარია, ხოლო ასდოლარიანისა - 20 წელზე მეტი.

სავალუტო ბაზარზე ხდება ფულის გაცლა შესაბამისი ქვეყნის ვალუტაზე, რასაც ვალუტის გაცვლა ეწოდება. ეროვნული ფულის უნარს, თავისუფლად, შეუზღუდავად გაიცვალოს უცხოურ ვალუტაზე მასში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე, **კონვერტირებადობა ეწოდება.**

ვალუტა შეიძლება იყოს ნაწილობრივ კონვერტირებადი, არაკონვერტირებადი და თავისუფლად კონვერტირებადი.

ნაწილობრივ კონვერტირებადია ვალუტა, რომელსაც აქვს შეზღუდვები სავალუტო ოპერაციების განსაზღვრული წრის მიმართ (განსაკუთრებით რეზიდენტებისათვის) და იცვლება მხოლოდ ზოგიერთ უცხოურ ვალუტაზე. ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტაა იაპონური იენი, რუსული რუბლი.

არაკონვერტირებადი იმ ქვეყნების ვალუტებია, რომლებშიც მოქმედებს სხვადასხვა შეზღუდვები როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტებისათვის, ეროვნული და უცხოური ვალუტის შეტანა-გატანასთან და გაცვლასთან დაკავშირებით. ისინი, როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს წარმოადგენენ. ჩვენი ქვეყნის ვალუტა (ლარი), არაკონვერტირებადია. ეს ნიშნავს, რომ იგი ფუნქციონირებს მხოლოდ მოცემულ ქვეყანაში და სხვა ქვეყნების ვალუტებზე ნაკლებად იცვლება.

თავისუფლად კონვერტირებადი ანუ გაცვლის უნარის მქონეა ვალუტა, რომელსაც მთლიანად ჩამოცილებული აქვს სავალუტო შეზღუდვები და თავისუფლად იცვლება ნებისმიერ სხვა უცხოურ ვალუტაზე. კონვერტირებად ვალუტას წარმოადგენს აშშ დოლარი და ევრო.

გავაკეთოთ პატარა ისტორიული ექსკურსი: კომუნისტურ პერიოდში ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე (დედამიწის 1/6 ნაწილი) მოქმედებდა ერთიანი ვალუტა - მანეთი, რომლის ოფიციალური კურსი აღემატებოდა აშშ-ის დოლარის კურსს, 1 აშშ დოლარი ღირდა 68 კაპიკი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა ეროვნული ვალუტები. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი, პირიქით, ეროვნული ვალუტები გაუქმდა და ერთიანი ვალუტა - ევრო - შემოიღეს. მისი ძირითადი მიზანი იყო აშშ დოლარის კურსის წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოში 1993-1995 წლებში მიმოიქცეოდა გარდამავალი ფულადი საშუალება - კუპონი, რომლის შემოღებაც იყო იძულებითი ღონისძიება, რადგანაც ყოფილი სსრ კავშირის ცენტრალური ბანკი აღარ გვამარაგებდა მანეთის

ბანკნოტებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1995 წლის ოქტომბრიდან ჩვენს ქვეყანაში მიმოიქცევა ეროვნული არაკონვერტირებადი ვალუტა - ლარი.

სავალუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემას. ეროვნული სავალუტო სისტემა არის ქვეყნის სავალუტო ურთიერთობის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც რეგლამენტირებულია (განსაზღვრულია) საერთაშორისო ნორმების მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული ეროვნული კანონმდებლობით. საერთაშორისო სავალუტო სისტემა კი საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობის ორგანიზაციის ფორმას, რომელიც განპირობებულია მსოფლიო მეურნეობის არსებობა-განვითარებით და იურიდიულად განმტკიცებულია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით. საერთაშორისო სავალუტო სისტემა ემსახურება: საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სამუშაო ძალის მიგრაციას და სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლას.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი ვალუტის არსებობის ფაქტი მოასწავებს იმას, რომ საერთაშორისო ვაჭრობის საწარმოებლად უნდა გაგვაჩნდეს ერთი ვალუტის მეორეზე გაცვლის საშუალება. სწორედ ასეთი გაცვლითი ოპერაციების განსახორციელებლად არსებობს **უცხოური ვალუტის ბაზარი**. რაც უფრო სწრაფად იზრდება ქვეყნებს შორის ვაჭრობა, მით უფრო იზრდება სავალუტო ოპრეაციების რაოდენობაც. მაგალითად, ქართულმა ფირმებმა, რომლებსაც სურთ საქონლის შექმნა შვეიცარიაში, ლარი შვეიცარიულ ფრანკებზე უნდა გადაცვალონ. იგივე ქართულმა ფირმებმა, რომლებიც თავიანთ საქონელს შვეიცარიაში ჰყიდიან, შეიძლება მოისურვონ მათ მიერ გამომუშავებული შვეიცარიული ფრაკნკების გადაყვანა ამერიკულ დოლარებში.

სავალუტო ბირჟა არის ორგანიზებული ბაზარი, სადაც იდება გარიგება ბანკებს შორის ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარზე 2009 წლის მაისიდან მოქმედებს სავალუტო აუქციონი ეროვნული ბანკის მხრიდან ინტერვენციით ნაცვლად სავალუტო ბირჟისა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო აუქციონზე საქართველოს **ეროვნული ბანკის ინტერვენციები ხორციელდება** მხოლოდ უცხოური ვალუტის მიმართ ჭარბი მიწოდების შემთხვევაში. ამასთან, გაცვლითი კურსის გამყარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რეზერვების შევსებასაც, რამაც, დაფინანსების საგარეო წყაროებიდან სახსრების არასრულად ან დაგვიანებით მიღების შემთხვევაში, ქვეყნის საგარეო ვალდებულებების შეუფერხებელი მომსახურება უნდა უზრუნველყოს.

ამასთან, იმის გამო, რომ სავალუტო ინტერვენციები უზრუნველყოფილი ემისიას, აღნიშნული ტაქტიკა ხელს შეუწყობს ფულის არაინფლაციურ მიწოდებას და, ამდენად ეკონომიკის მონეტარიზაციის დონის გაზრდასაც.

თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობანი ხასიათდება არასტაბილურობითა და სირთულით, რის გამოც იგი საჭიროებს რეგულირებას და კოორდინაციას. ამ ფუნქციებს ასრულებს სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

სავალუტო პოლიტიკა არის ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, განხორციელებული სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებების მიერ საერთაშორისო სავალუტო და სხვა ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში მათი მიმდინარე და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. სავალუტო პოლიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და სრულად უნდა შეესაბამებოდეს ფასების სტაბილურობის უმთავრეს მიზანს. ეს იმიტომ, რომ საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონისა და სამომხმარებლო კალათაში იმპორტული საქონლის დიდი წილის პირობებში გაცვლითი კურსის მიმართ ფასები მეტად მგრძობიარეა.

ამავე დროს, საქართველოს სავალუტო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტებია: ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევების შერბილება, ლარის რეალური ეფექტიანი კურსის გამყარების შესუსტება და საერთაშორისო რეზერვების აკუმულირება; ექსპორტის წახალისება და ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესების დაცვა; ადგილობრივი მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით იმპორტის მნიშვნელოვანი შეზღუდვის არ დაშვება, რადგან ამან შესაძლოა სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის დეფიციტი განაპირობოს და ფასების ზრდას შეუწყოს ხელი.

6.2. უცხოური ვალუტა და ვალუტის გაცვლითი კურსის რეჟიმები

მულტინაციონალური კომპანიები, ისევე როგორც მცირე იმპორტიორი ან ექსპორტიორი ფირმები, კარგად უნდა იცნობდნენ უცხოურ ვალუტებსა და სავალუტო კურსებს. ბიზნესის წარმოების დროს, ფუნდამენტური განსხვავებაა ადგილობრივ ბაზარზე ანგარიშსწორებასა და საზღვარგარეთ გადახდების განხორციელებაში. საშინაო ტრანზაქციების (გადაცვლების) დროს კომპანიები იყენებენ მხოლოდ ერთ ვალუტას. უცხოური ტრანზაქციებისას მათ უწევთ ორი ან მეტი ვალუტის გამოყენება. მაგალითად ამერიკულმა ფირმამ, რომელიც აწვდის თხილამურებს ფრანგ დისტრიბუტორს, შეიძლება მოითხოვოს ანგარიშსწორება დოლარში, თუ მას არ აქვს ევროს გამოყენების კონკრეტული (მაგალითად ფრანგი

მომწოდებლისთვის ანგარიშსწორების) მიზანი. დავუშვათ, თქვენ ხართ ამერიკელი იმპორტიორი, რომელიც დათანხმდა შეიძინოს ფრანგული პარფიუმერია და გადაუხადოს ფრანგ ექსპორტიორს 4 000 ევრო. თუ თქვენ გაქვთ ეს ფული, როგორ ამჯობინებდით მის გადახდას? პირველ რიგში მიდიხართ ადგილობრივი ბანკის საერთაშორისო დეპარტამენტში, რომ მიმდინარე საბაზრო კურსით იყიდოთ 4 000 ევრო.

უცხოური ვალუტა არის სახელდებული ფული, რომელსაც სხვა ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი იყენებს. სხვაგვარად, **უცხოური ვალუტა** არის ფული, რომელიც წარმოდგენილია სხვა ქვეყნის ან ქვეყანების ჯგუფის ვალუტაში. **სავალუტო კურსი** არის ვალუტის ფასი ანუ ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის გამოსახვა მეორე ქვეყნის ფულად ერთეულში. ვალუტის გადაცვლა არის ერთი ქვეყნის ვალუტის გადაცვლა მეორე ქვეყნის ვალუტაზე. **პირდაპირი კოტირება** არის უცხოური ვალუტის ერთი ერთეულის ადგილობრივი ვალუტით გამოსახვა. **არპირდაპირი კოტირება** კი გულისხმობს ადგილობრივი ვალუტის ერთი ერთეულის უცხოური ვალუტით გამოსახვას. ბაზარი, სადაც ხორციელდება ასეთი ტრანზაქციები (გადაცვლები) არის **უცხოური ვალუტის ბაზარი**. უცხოურ სავალუტო ბაზარზე დომინირებენ კომერციული ბანკები, მაგრამ სხვა საფინანსო ინსტიტუციები (ადგილობრივი და რეგიონალური ბანკები) და არასაფინანსო ინსტიტუციები (კორპორაციები და მთავრობა) ასევე ამ ბაზრის მოთამაშეები არიან. დილერებს შეუძლიათ ივაჭრონ ვალუტით ტელეფონის ან ინტერნეტის მეშვეობით, განსაკუთრებით კი Reuters-ის, EBS-ის და Bloomberg-ის საშუალებით.

სავალუტო დილერები არიან ისინი, ვინც ადგენენ სავალუტო კურსს. არსებობს ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსი. **შესყიდვის კურსი** არის ფასი, რომელიც შეთავაზებულია დილერის მიერ ვალუტის (დოლარის) შესაძენად, ხოლო **გასაყიდი კურსი** არის ფასი, რომელიც სასურველია დილერისთვის ვალუტის (დოლარის) გაყიდვისას. ჩვეულებრივ, გაყიდვის კურსი ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე შესყიდვის კურსი. **სპრედი** არის სხვაობა ვალუტის (დოლარის) **გასაყიდ კურსსა და შესყიდვის კურსს** შორის, ანუ დილერის სარგებლის მაჩვენებელი. **მაკლერი არის შუამავალი**, რომელიც მყიდველსა და გამყიდველს (ბროკერებსა და დილერებს) აკავშირებს, დებს მათ შორის გარიგებას და ამ საქმიანობისთვის იღებს შესაბამის ანაზღაურებას, **კურტაჟს**.

მსოფლიოში ყველაზე დიდი სავალუტო ბაზარი მდებარეობს ლონდონში, რის შემდეგაც მოდის ნიუ-იორკი, ტოკიო და სინგაპური. **ვალუტის კურსის დაცემა**

(დევალვაცია) ეს არის ერთი ვალუტის ღირებულების შემცირება მეორე ვალუტასთან მიმართებით. **ვალუტის კურსის ზრდა (რევალვაცია)** კი-ერთი ვალუტის ღირებულების გაზრდა მეორე ვალუტასთან მიმართებით. **ვოლათილობა ნიშნავს** სავალუტო კურსის ცვალებადობის ოდენობას. რაც უფრო მეტია კურსის მოძრაობის დიაპაზონი, მით მაღალია ვოლათილობა და მით მეტია მოგების მიღების შესაძლებლობა ან ზარალის მიღების რისკი. სწორედ ამიტომ საჭიროა ვალუტის კურსის სტაბილურობა. თუმცა, ვალუტის კურსის სტაბილურობა კურსის გაყინვას არ ნიშნავს, კურსი ირყევა გარკვეული დასაშვები ამპლიტუდით. ასეთია მცურავი სავალუტო კურსი.

ვალუტის კურსის რეჟიმები

თანამედროვე პირობებში, **სავალუტო კურსი შეიძლება ჩამოყალიბდეს** ბაზარზე ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე (მცურავი ვალუტის კურსი) და ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებით. ე.ი. მცურავი ვალუტის კურსი არის თავისუფლად ცვალებადი, ვალუტის რყევადი კურსი, რომლის სიდიდე განისაზღვრება საბაზრო კონიუნქტურით, ვალუტაზე მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობით და სხვა საბაზრო ფაქტორებით, ხოლო ფიქსირებული სავალუტო კურსი არის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქმიანობა დაიწყო ფიქსირებული გაცვლითი კურსებით, მაგრამ ახლა ის ქვეყნებს საშუალებას აძლევს თავად აირჩიონ, თუ რამდენად ფიქსირებული ან მოქნილი გაცვლითი კურსების ქონა სურთ. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს გაცვლითი კურსის პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

განასხვავებენ ნომინალურ და რეალურ გაცვლით კურსს. ნომინალური **გაცვლითი კურსი** არის ეროვნული ვალუტის ღირებულება, გამოსახული უცხოური ვალუტის ერთეულით; ან კიდევ, სავალუტო კურსი, რომლითაც პიროვნებას შეუძლია ერთი ქვეყნის ვალუტით შეიძინოს მეორე ქვეყნის ვალუტა. **რეალური გაცვლითი კურსი** კი ნომინალური გაცვლითი კურსისა და ამ ქვეყნებში ფარდობითი ფასების ნამრავლია; ან კიდევ, რეალური გაცვლითი კურსი არის ნომინალური გაცვლითი კურსი ორ ქვეყანას შორის ინფლაციათა გათვალისწინებით; უფრო მარტივად, **რეალური გაცვლითი კურსი არის კურსი**, რომლითაც პიროვნებას შეუძლია შეიძინოს ერთი ქვეყნის საქონელი და მომსახურება მეორე ქვეყნის საქონლითა და მომსახურებით.

სავალუტო პარიტეტი სხვადასხვა ქვეყნის ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობაა მათი მყიდველობითი უნარის მიხედვით. მსოფლიო პრაქტიკაში ვალუტების რეალურ კურსს სწორედ მათი ყიდვისუნარიანობის პარიტეტის მიხედვით განსაზღვრვენ. მაგალითად, თუ სამომხმარებლო კალათა საქართველოში ღირს 150 ლარი, ხოლო აშშ-ი_100 დოლარი, მაშინ 1 დოლარის ფასი (ანუ დოლარის რეალური სავალუტო კურსი) იქნება 1,5 ლარი $(150:100)= 1,5$. აქედან გამომდინარე, თუ საქართველოში საქონლის ფასი გაიზრდება 2-ჯერ, ხოლო აშშ-ი უცვლელი დარჩება, მაშინ დოლარის ფასი ლარებში გამოხატული, 2-ჯერ გაიზრდება. ე.ი. 1 დოლარი გაიცვლება 3 ლარზე. ვალუტის კურსის ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესისათვის, განსაკუთრებით ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული მეწარმეებისათვის, რადგან ძალაშია გარდუვალი წესი: როცა ეცემა ეროვნული ვალუტის კურსი, უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ე.ი. ეცემა სამამულო საქონლის ფასი, ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან ექსპორტიორები, ხოლო ეროვნული ვალუტის კურსის ამღლებისას (ეროვნული საქონლის გაძვირებისას) იგებენ იმპორტიორები.

სახელმწიფოს გააჩნია ვალუტის კურსზე ზემოქმედების მრავალი ბერკეტი, მაგრამ მათგან ორი ძირითადია: სააღრიცხვო განაკვეთის დადგენა და სავალუტო ინტერვენცია. მაგალითად, თუ ეროვნული ბანკი გაზრდის სააღრიცხვო განაკვეთს კრედიტზე, რომელსაც იგი კომერციულ ბანკს აძლევს, ამით იგი გაზრდის ეროვნული ვალუტის კურსსაც. რადგან მაღალი სააღრიცხვო განაკვეთის პირობებში კომერციული ბანკები ეროვნული ბანკისაგან აიღებენ ნაკლებ კრედიტებს და შესაბამისად შეამცირებენ უცხოური ვალუტის შესყიდვას: უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირება კი გამოიწვევს მისი ფასის შემცირებას და, შესაბამისად, ეროვნული ვალუტის კურსის ზრდას.

სავალუტო ინტერვენცია ნიშნავს ეროვნული ბანკის მიერ თავისი ქვეყნის ვალუტის ყიდვა-გაყიდვას სავალუტო ბაზარზე. ლარის გაყიდვა ანუ **არასტერილური ინტერვენცია** (ე.ი. ლარის რაოდენობის ზრდა მიმოქცევაში) ხელს უწყობს მისი კურსის დაცემას, ხოლო ლარის ყიდვა ანუ **სტერილური ინტერვენცია** (ე.ი. ლარის რაოდენობის შემცირება)_კურსის ამღლებას. E

სხვაგვარად, ეროვნული ბანკის სტერილური ინტერვენციის დროს სავალუტო ბაზარზე ამოიღება ჭარბი ლარი და გაიშვება დოლარი. ეს ხდება სავალუტო ბაზარზე დოლარის გაყიდვისას. **ეროვნული ბანკის არასტერილური ინტერვენციის დროს** სავალუტო ბაზარზე მიმოქცევიდან ამოიღება ჭარბი დოლარი და მის მაგიერ გაიშვება ლარი. Eეს ხდება სავალუტო ბაზარზე დოლარის შეძენისას.Dდრო და ფული

დახარჯული ფინანსური გარიგების განხორციელებაზე არის ტრანზაქციური დანახარჯი.

შევნიშნავთ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად არ გამოიყენებენ ერთმანეთისაგან ტერმინებს: “ვალუტის კურსი” და მოცემული ვალუტის “გაცვლითი კურსი”; მარამ სინამდვილეში მათ შორის არსებობს განსხვავება. კერძოდ, “ვალუტის კურსისაგან” განსხვავებით მოცემული ვალუტის “გაცვლითი კურსი” ესაა მოცემული ქვეყნის ვალუტის ერთეულის ფასი, გამოსახული უცხოური ქვეყნის ვალუტაში. ასე მაგალითად, თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ იქნება: 1 ლარი EL = 0,5 აშშ დოლარს, მაშინ იმავე ლარის სავალუტო კურსი აშშ დოლარის მიმართ იქნება: 1 აშშ დოლარი = 2 ლარს.

სავალუტო და გაცვლით კურსებს შორის განსხვავებაზე, შესაძლოა, არც კი გაგვემახველებინა ყურადღება, რომ არა ერთი გარემოება: საქმე იმაშია, რომ ამ საკითხის არ ცოდნა ხშირად გაუგებრობის საბაზი ხდება ხოლმე, როდესაც საუბარია ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინების შესახებ, როგორცაა: “ვალუტის დევალვაცია” და “ვალუტის რევალვაცია”.

განმარტების თანახმად, ვალუტის დევალვაცია-ესაა განსახილველი ვალუტის კურსის შემცირება (დაწევა), ხოლო ვალუტის რევალვაცია-ამავე ვალუტის კურსის გაზრდა (აწევა). მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით ამ განმარტებებს, აღმოვაჩინებთ, რომ მათ რაღაც აკლიათ! კერძოდ, არ არის ნათქვამი, თუ რომელი კურსის შესახებაა საუბარი_სავალუტო თუ გაცვლითი. სწორედ აქ იჩენს ხოლმე თავს გაუგებრობა!_ამიტომ, მოდით, დავაზუსტოთ: საუბარი უნდა იყოს გაცვლით კურსზე და არა_სავალუტო კურსზე, ვინაიდან შინაარსობრივად მოცემული ვალუტის დევალვაცია გულისხმობს იმას, რომ ახლა ამ ვალუტის ერთეულში უფრო ნაკლები უცხოური ვალუტის მიღება იქნება შესაძლებელი, ხოლო რევალვაციის შემთხვევაში-მეტის. მაგალითად, თუ დღეს 1 ლარი 1 ევროს ეკვივალენტურია და ხვალ ადგილი იქნება ლარის დევალვაციას, ეს ნიშნავს, რომ ხვალ 1 ლარში 1 ევროზე ნალებს მოგცემენ და პირიქით.

ლარზე მოთხოვნა სხვა ქვეყნების იმპორტიორებს მაშინ უჩნდებათ, როდესაც საქართველოში საქონლისა და მომსახურების ყიდვა ან ინვესტირების განხორციელება სურთ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ლარის შესაძენად უცხოური ვალუტის შეთავაზება იქნება საჭირო. სავალუტო ბაზარზე ლარის მიწოდება, ასევე, ორ გარემოებასთანაა დაკავშირებული: 1) ქართველთა სურვილი_შეიძინონ იმპორტული საქონელი და ისარგებლონ იმპორტული მომსახურებით; 2) ქართველ

ინვესტიორთა სურვილი_თავიანთი კაპიტალი სხვა ქვეყანაში განათავსონ. აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება ლარის უცხოურ ვალუტაზე გაცვლა.

ლარის გაცვლითი კურსი შეიძლება მრავალი ვალუტით (ევროთი, იენით, რუბლით, მანათით.) გამოისახოს. ჩვეულებრივ, ლარის კურსი დგინდება აშშ დოლარის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელი ფაქტობრივად მსოფლიო ფულის როლში გამოდის. თუ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი წლითიწლობით იზრდება ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ვალეები უგროვდება, ე.ი. ადგილი აქვს ქვეყნის დეფოლტის, გადახდის უუნარობის ანუ გაკოტრების საშიშროებას.

გაცვლითი კურსის გავლენა ექსპორტზე. გაცვლის კურსის ცვლილება გავლენას ახდენს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაზე, თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ იცვლება ამ დროს ფასები საქართველოსა და მის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. მაგალითისათვის ავიღოთ საქართველო და უკრაინა. თუ ლარის გაცვლითი კურსი უკრაინული გრივნას მიმართ სტაბილურია და ფასების დონე საქართველოში უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე უკრაინაში, ასეთ პირობებში ქართული პროდუქტები უკრაინისათვის ძვირდება და პირიქით_თუ ლარის კურსი მყარდება უკრაინული გრივნას მიმართ, ხოლო ფასები უკრაინაში საქართველოსთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება და ზრდის მაჩვენებელი აღემატება ლარის გამყარების ოდენობას, მაშინ ქართული პროდუქტი უფრო ხელმისაწვდომი გახდება უკრაინელი მომხმარებლისათვის და, შესაბამისად, ქართული ექსპორტი გაიზრდება.

აქედან გამომდინარე, როდესაც მსჯელობა მიმდინარეობს, თუ როგორ გავლენას ახდენს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება ქართულ ექსპორტზე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ იცვლება ფასების დონე საქართველოში, ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით. 1995 წელს, როდესაც ლარი იქნა შემოღებული, მოხდა მისი გაცვლითი კურსის ფიქსირება აშშ დოლარის მიმართ. იმ პერიოდისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი სასურველ ალტერნატივას წარმოადგენდა, ვინაიდან ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის პირობებში, რაც ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებით იყო გამოწვეული, ისედაც შესუსტებული იყო ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და გაცვლითი კურსის მიზმა უზრუნველყოფდა კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას (აშშ დოლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად) და ნდობის აღდგენას. ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი 1998 წლის ბოლომდე მოქმედებდა. 1998 წლის შემდეგ შემოღებული იქნა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მართვადი მცურავი გაცვლითი

კურსის რეჟიმი გულისხმობს, რომ ლარის კურსის დადგენა აშშ დოლარის მიმართ ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე ხდება. თუ გაცვლით კურსმა დადგენილ ამპლიტუდას გადააჭარბა საჭირო ხდება ეროვნული ბანკის მხრიდან სტერილური, ან არასტელირული ინტერვენცია.

6.3. სავალუტო ბაზარი (სპოტ-ბაზარი, ფორვარდული ბაზარი, სვოპ-ბაზარი)

სავალუტო ბაზარი არის ვალუტების საკონვერსიო (გაცვლითი) ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც მის მონაწილეებს შორის ხორციელდება კონკრეტული პირობების (თანხა, გაცვლითი კურსი, ვალუტირების თარიღი) დაცვით. ქვეყნის სავალუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სისტემას.

საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარს, როგორც დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ორგანიზებულ სისტემას, საფუძველი ჩაეყარა 1993 წელს თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სახით. საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარი სხვა ფინანსურ ბაზრებთან (ფულადი ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი) შედარებით მაღალლიკვიდურობით გამოირჩევა, რაც ბუნებრივია მის შედარებით აქტიურობას განაპირობებს.

საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარი მოიცავს: 1) სავალუტო აუქციონებს ეროვნული ბანკის მხრიდან ინტერვენციებით (ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა გაუქმდა 2009 წლის მაისში). უნდა ითქვას, რომ აუქციონი, ბირჟაზე უშუალო ჩარევასთან შედარებით, უფრო მეტად არის დამყარებული საბაზრო მექანიზმებზე. სავალუტო ბირჟის გაუქმებისა და აუქციონების შემოღების შედეგად საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შემცირდა იმის განცდა რომ, ეროვნული ბანკი ხელოვნურად მართავს კურსს. ეროვნული ბანკის მიერ აუქციონზე გამოტანილი ვალუტა, რაც საჭიროა გრძელვადიანი დინამიკისაგან მკვეთრი გადახრებისა და სპეკულიაციური გარიგებების თავიდან ასაცილებლად, გაცილებით ნაკლებია იმ მოცულობაზე, რაც სავალუტო ბირჟაზე უშუალო ჩარევისას იყო საჭირო; 2) პირდაპირი ბანკთაშორისი ბაზარი; 3) კომერციული ბანკების მიერ კლიენტებისათვის განხორციელებული სავალუტო საკონვერსიო ოპერაციები; 4) ვალუტის გადამცვლელი პუნქტები.

ბლუმბერგის ტერმინალი არის კომპიუტერული სისტემა, სადაც 24 საათის გამნავლობაში შესაძლებელია საფინანსო ბაზრების, ვალუტის გაცვლითი კურსებისა და სხვადასხვა ბიზნეს-სექტორების შესახებ ინფორმაციის მიღება.

უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას ძირითადად იმპორტი და საგარეო ვალების მომსახურება განაპირობებს, რაც ექსპორტით, საერთაშორისო სავალუტო რეზერვებითა და უცხოური კაპიტალის შემოდინებით ფინანსდება.

განასხვავებენ ვალუტის სპოტ-კურსს, ფორვარდ-კურსს და სვოპ-კურსს. **სპოტ-კურსი** არის ნაღდი გარიგების კურსი, რომლის დროსაც ანგარიშწორება ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში; **ფორვარდ-კურსი** არის გრძელვადიანი გარიგების კურსი, რომლის დროსაც ანგარიშწორება ხორციელდება ხელშეკრულებიდან ერთი და მეტი თვის შემდეგ; თუ ვადიან გარიგებაში მოსალოდნელია უცხოური ვალუტის სამომავლო გამყარება, ვალუტა იყიდება პრემიით (ბონუსით). წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გაყიდვა ხდება ფასდაკლებით; **სვოპ-კურსი** კი არის კურსი, რომელიც ითვალისწინებს განსაზღვრულ ვადაში უკუგაცვლის ვალდებულებას.

6.4. ოფიციალური საერთაშორისო სავალუტო რეზერვების არსი, დანიშნულება და მართვა

როგორც უკვე ითქვა, **სარეზერვო ვალუტა** არის მსოფლიო ფულის როლის შემსრულებელი ვალუტა (აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი). საქართველოს ეროვნული ბანკი კანონმდებლურად უფლებამოსილია ფლობდეს, ინახავდეს და მართავდეს ქვეყნის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. **ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ძირითადი დანიშნულებაა:** 1. უზრუნველყოს ქვეყანაში მოქმედი სავალუტო რეჟიმის მხარდაჭერა; 2. მთავრობის უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებების შეუფერხებელი მომსახურება; 3. საგარეო შოკებისადმი საფინანსო სისტემის მედეგობის გაზრდა. **საერთაშორისო რეზერვები განთავსებულია** თავისუფლად კოვერტირებადი ვალუტებით, რომელთა გამოყენებაც შეუფერხებლად შეიძლება საერთაშორისო ანგარიშწორებისათვის. **საერთაშორისო რეზერვები, ძირითადად, განთავსებულია:** 1. დაბალი რისკის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში; 2. საერთაშორისო ორგანიზაციების ფასიან ქაღალდებში; 3. დეპოზიტების სახით უმაღლესი რეიტინგის მქონე კომერციულ ბანკებში; **საერთაშორისო რეზერვების კონკრეტული სავალუტო კომპოზიცია განისაზღვრება:** 1. ქვეყნის საგარეო ვალდებულებებით; 2. ეკონომიკაში არსებული სავალუტო სტრუქტურის მიხედვით. ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო რეზერვების ინვესტირების ძირითადი პრინციპებია: 1. ინვესტირებული თანხების საიმედოობა; 2.

რეზერვების ლიკვიდურობა; 3. შემოსავლიანობის მაქსიმიზაცია. **საერთაშორისო რეზერვების შევსების ძირითადი წყაროებია:** 1. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული შესყიდვები ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე; 2. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხები; 3. საერთაშორისო რეზერვების მართვით მიღებული შემოსავლები. სავალუტო რეზერვები მინიმუმ სამი თვის იმპორტის ჯამის ტოლი უნდა იყოს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ოფიციალურმა საერთაშორისო სავალუტო რეზერვებმა შეადგენდა 3.5 მლრდ აშშ დოლარი.